



## ვენეციის კომისიის 2013 წლის 11 მარტის დასკვნა

15 მარტი, 2013 წელი  
არაოფიციალური თარგმანი

სტრასბურგი, 2013 წელი 11 მარტი  
დასკვნა N701/2012  
CDL-AD(2013)007 Or. Engl.

ევროპული კომისია დემოკრატიისათვის კანონის მეშვეობით  
(ვენეციის კომისია)

დასკვნა

საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ  
ორგანულ კანონში ცვლილებების პროექტზე  
მიღებული ვენეციის კომისიის მიერ, 94-ე პლენარულ სხდომაზე  
(ვენეცია, 2013 წლის 8-9 მარტი)

ნიკოლაე ეშანუს (კომისიის წევრი, მოლდოვა)  
ჯეიმს ჰამილტონის (კომისიის წევრის შემცვლელი, ირლანდია)  
იორგენ სტინ სორენსენის (კომისიის წევრის შემცვლელი, დანია)  
კომენტარების მიხედვით

## **I. შესავალი**

1. 2012 წლის 3 დეკემბერს საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ევროპის საბჭოში მიმართა ვენეციის კომისიას წერილით (CDL-REF(2012)045), რომლითაც ითხოვდა კომისიის დასკვნას საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების პროექტის შესახებ.
2. კანონპროექტზე კომენტარების მოსამზადებლად ვენეციის კომისიის მიერ მოწვეულნი იყვნენ შემდეგი მომხსენებლები: ბატონები ნიკოლაე ეშანუ, ჯეიმს ჰამილტონი და იორგენ სტინ სორენსენი.
3. 2013 წლის 6-7 თებერვალს შედგა ნ. ეშანუს, ჯ. ჰამილტონისა და ი.ს. სორენსენის ვიზიტი თბილისში, რომლის დროსაც მომხსენებლები შეხვდნენ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, იუსტიციის მინისტრსა და მის მოადგილეს, მოსამართლეთა ასოციაციის პრეზიდენტს და ასოციაციის წევრებს, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს, პარლამენტის წევრებს და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს.
4. წინამდებარე დასკვნა ითვალისწინებს მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას; ასევე, ეყრდნობა თბილისში განხორციელებული ვიზიტის შედეგებს. ვენეციის კომისია მადლობას უხდის საქართველოს ხელისუფლებას და პროცესში მონაწილე სხვა მხარეებს შესანიშნავი თანამშრომლობისთვის ვიზიტის განმავლობაში.
5. დაბოლოს, ისევე როგორც ვენეციის კომისიის სხვა დასკვნებში, მოცემულ დოკუმენტშიც შესაძლოა იყოს თარგმანთან დაკავშირებული სირთულეებით გამოწვეული გარკვეული შეცდომები თუ გაუგებრობები.
6. მოცემული დასკვნა განხილულ იქნა 2013 წლის 7 მარტს მართლმსაჯულების ქვე-კომიტეტის მიერ და შემდგომში მიღებულ იქნა კომისიის მიერ 94-ე პლენარულ სხდომაზე (ვენეცია, 2013 წლის 8-9 მარტი).

## **II. მედიის მიერ სასამართლო პროცესის გაშუქება**

7. საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მიხედვით, სასამართლო პროცესების ფოტო, კინო და ვიდეო ჩანაწერების გაკეთება და მათი ტრანსლაცია დაუშვებელია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას ახორციელებს სასამართლო ან სასამართლოს მიერ უფლებამოსილი პირი (მოქმედი რეგულაციის მე-12 მუხლი).
8. ვიზიტის განმავლობაში დელეგაციის წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მიუხედავად ზემოხსენებული დებულებებისა სასამართლო პროცესების გადაღების დასაშვებობის თაობაზე, გადაღება თითქმის არასდროს ხორციელდება; ან არ ხორციელდება იმ გზით, როგორც იყო წინასწარ მოთხოვნილი (მაგალითად, მაშინაც, როდესაც გადაღება დაშვებულია იყო, ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც მიკროფონები გამოირთო პროცესის ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებში). აღნიშნულიდან გამომდინარე, მთავრობას გააჩნია

სურვილი, რომ ცვლილებები შეიტანოს იმ ნორმებში, რომლებიც სასამართლო პროცესების გაშუქებას არეგულირებს.

9. ვიზიტის დროს, ასევე, აღნიშნულ იქნა, რომ ცვლილებების ნაწილი უკვე მიღებულია და შეტანილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

ა. სასამართლო პროცესის აუდიო და/ან ვიდეო ჩანაწერების გაკეთების პრინციპი

10. ექვგარეშეა ის, რომ სასამართლო პროცესის აუდიო ჩანაწერის გაკეთებას მნიშვნელოვანი უპირატესობა ენიჭება, განსაკუთრებით სასამართლოს მსვლელობის აღწერისა და პროცესის გამჭვირვალობის თვალსაზრისით. ზემოხსენებული ასევე მნიშვნელოვანია სასამართლო სისტემის ფუნქციონირებაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებისათვის.

11. სასამართლო პროცესის ვიდეო ჩანაწერის გაკეთება, შესაძლოა, იგივე მიზანს ემსახურებოდეს, თუმცა, ამავდროულად, უფრო მეტად მოსალოდნელია კამერების არსებობამ სასამართლო დარბაზში გარკვეული სირთულეები გამოიწვიოს: სასამართლო პროცესის მონაწილეთა ქცევა, შესაძლოა, შეიცვალოს გადაღების პროცესში; ასევე შესაძლოა, მოპასუხეები და მათი ადვოკატები უფრო დაინტერესებულნი იყვნენ მიმართონ საზოგადოებას, ვიდრე უშუალოდ იმ სასამართლოს, რომლის წინაშეც წარსდგებიან; დაზარალებულებმა და მოწმეებმა, რომ არაფერი ვთქვათ მხარეებზე, შესაძლოა, თავი იგრძნონ უხერხულად დარბაზში კამერების არსებობისას; პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა გაცილებით რთული უზრუნველსაყოფი იქნება ვიდეო ჩანაწერის განხორციელებისას, ვიდრე ეს აუდიო ჩანაწერის განხორციელებისას არის შესაძლებელი. ასევე, სისხლის სამართლის საქმეების განხილვა, შესაძლოა, უფრო რთული აღმოჩნდეს: მაგალითად, მსგავსი საქმის განხილვის პირდაპირი ჩანაწერის გაკეთების მეშვეობით, მოწმეებს შესაძლებლობა ექნებათ გაიგონ სხვა მოწმეების ჩვენებები, რაც ხშირად კონფლიქტს გამოიწვევს, როგორც ბრალდების, ასევე დაცვის ინტერესებთან.

12. მედიის მიერ სასამართლო პროცესების გაშუქების სტანდარტები არ არის დეტალურად დადგენილი ევროპის საბჭოს მიერ.

13. მინისტრთა კომიტეტის მიერ წევრი სახელმწიფოებისათვის შემუშავებული რეკომენდაცია Rec(2003)13 სისხლის სამართლის პროცესების შესახებ მედია საშუალებების გამოყენებით ინფორმაციის გავრცელების თაობაზე (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2003 წლის 10 ივლისს, მინისტრთა მოადგილეების 848-ე შეხვედრაზე) ადგენს ძირითად პრინციპებს და პრეამბულაში ხაზს უსვამს შემდეგს: „სავარაუდო კონფლიქტური ინტერესები, რომლებიც დაცულია კონვენციის მე-6, მე-8 და მე-10 მუხლებით და ამ უფლებების ბალანსის აუცილებლობა, ყველა ინდივიდუალური საქმის ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებითა და კონვენციით აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საზედამხედველო როლის სათანადოდ გათვალისწინებით.“

14. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს რიგ შემთხვევებში მოუწია სასამართლო პროცესის პირდაპირი ტრანსლაციის საკითხის განხილვა. P4 რადიო

Hele Norge ASA-ს საქმესთან დაკავშირებით დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილებაში (საჩივარი #76682/01, 2003 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება), სასამართლომ დაადგინა, რომ წევრი სახელმწიფოები უნდა სარგებლობდნენ შეფასების ფართო თავისუფლებით პრესის მიერ სასამართლო პროცესის პირდაპირი ტრანსლაციის რეგულირების საკითხში.

15. პრეცედენტული სამართალი პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობისა და საკუთარ გამოსახულებასთან დაკავშირებით პირის უფლების შესახებ გაცილებით უფრო განვითარებულია და უნდა იქნეს გათვალისწინებული.[1]

ბ. აუდიო და ვიდეო ჩანაწერების სამართლებრივი რეგულირება საკანონმდებლო ცვლილებებში

16. საკანონმდებლო ცვლილებები ადგენს სასამართლოს ვალდებულებას, განახორციელოს სასამართლო პროცესის აუდიო/ვიდეო ჩაწერა, ასევე, მაუწყებლის თუ სხვა პირების უფლებას, გადაიღონ ფოტოები, განახორციელონ კინო-ვიდეო და აუდიო ჩაწერა და სასამართლო პროცესის ტრანსლაცია. ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილებები წარმოადგენს ამ საქმიანობის რეგულირების მცდელობას.

- აუდიო/ვიდეო ჩაწერის განხორციელების ვალდებულება თუ უფლება

17. სასამართლოს ვალდებულება: საკანონმდებლო ცვლილებები, უპირველეს ყოვლისა, ადგენს სასამართლოს ვალდებულებას, განახორციელოს აუდიო/ვიდეო ჩაწერა (კანონპროექტის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი). ამავდროულად, კანონპროექტი არ ადგენს ზუსტად, სასამართლო ვალდებულია, რომ ორივე – აუდიო და ვიდეო – ჩაწერა განახორციელოს, თუ სასამართლოს აქვს შესაძლებლობა, გააკეთოს ამ ორს შორს არჩევანი და, ამ შემთხვევაში, რას დაეფუძნება მისი ასეთი არჩევანი.

18. საზოგადოებრივი და კერძო მაუწყებლის უფლება: საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია გადაიღოს სასამართლო პროცესის ფოტოები, ასევე, განახორციელოს ვიდეო და აუდიო ჩაწერა და პროცესის ტრანსლაცია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, პროცესი მთლიანად ან ნაწილობრივ დახურულად გამოცხადდება. თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი კანონით მინიჭებულ ამ უფლებას არ გამოიყენებს, სხვა მაუწყებელს ექნება საშუალება გამოიყენოს ეს უფლება მოსამართლისათვის წინასწარ გაგზავნილი განაცხადის საფუძველზე. თუ სასამართლოს რამდენიმე მაუწყებელი მიმართავს ასეთი ნებართვის მისაღებად, მაშინ მოსამართლე ვალდებულია შეარჩიოს ერთ-ერთი წილისყრის საფუძველზე (კანონპროექტის მე-3 და მე-13.2 მუხლები).

19. მედიის სხვა წარმომადგენლების უფლება: ამასთანავე, სასამართლოს თანხმობით და სასამართლოში შეტანილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, მედიის სხვა წარმომადგენლებსაც აქვთ უფლება, გადაიღონ ფოტომასალა, ასევე, განახორციელონ ჩაწერა და ჩანაწერების ტრანსლაცია. თუმცა მოსამართლის დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ეს უფლება შესაძლოა შეიზღუდოს (კანონპროექტის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი).

20. „სხვა პირების“ და მხარეების უფლება: მხარეები და „სხვა პირები“ უფლებამოსილი არიან განახორციელონ აუდიო და ვიდეო ჩაწერა სასამართლოს თანხმობით (მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი).

21. ცვლილებების თანახმად, „დასაბუთებული მოთხოვნის“ საფუძველზე, მხარეებს და/ან „სხვა პირებს“ შეუძლიათ მოითხოვონ სასამართლოს ნებართვა იმისათვის, რომ განახორციელონ აუდიო და ვიდეო ჩაწერა. სასამართლოს ამ უფლების შეზღუდვა შეუძლია „დასაბუთებული გადაწყვეტილებით“. კანონი არ მიუთითებს, ვინ არიან ეს „სხვა პირები“ და რა არის ის საფუძველი, რომლითაც შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს სასამართლოს ნებართვა. კანონი ასევე არ განსაზღვრავს, რის საფუძველზე დაიშვება ამ შესაძლებლობის შეზღუდვა ან მასზე უარის თქმა: მაგალითად, რა მოცულობით უნდა განხორციელდეს კონსულტაცია პროცესში მონაწილე მხარეებთან, ან რამდენად შეუძლიათ მათ პროცესის გაშუქების შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება.

22. საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, მისასაღმებელია სასამართლო პროცესებისათვის გაცილებით მეტი გამჭვირვალობის მინიჭება, რაც ხსნის იმას, თუ რატომ დაიშვება პროცესის აუდიო და ვიდეო ჩაწერის სხვა შესაძლებლობანი, გარდა ოფიციალური ჩანაწერებისა, რომელთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაც თავისთავად შესაძლებელია შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე. თუმცა იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული გაუმართლებელი ზეწოლა დაზარალებულზე, მოწმეზე, სისხლისსამართლებრივი პროცესის სხვა მხარეებზე, ნაფიც მსაჯულებზე თუ მოსამართლეებზე (მინისტრთა კომიტეტის Rec(2003)13), ჩანაწერების გაკეთების შესაძლებლობა არ უნდა იყოს შეუზღუდავი (იხ. ქვემოთ). გამჭვირვალობის დამატებით გარანტია შესაძლოა იყოს სასამართლოს მიერ გადაღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზების საჯაროობის უზრუნველყოფა.

23. „ნებისმიერი პირის“ უფლება: მე-13 მუხლის მე-5 პუნქტი აძლევს შეუზღუდავ უფლებას სასამართლო პროცესზე დამსწრე ნებისმიერ პირს, განახორციელოს პროცესის აუდიო ჩაწერა „თავისი ადგილიდან“. ნებისმიერი პირისთვის მსგავსი საშუალების მიცემის მიზანშეწონილობა საკამათოა, განსაკუთრებით იმ არასაკმარისი საკანონმდებლო ჩარჩოს გათვალისწინებით, რომელიც ამ უფლების გამოყენებას არეგულირებს (იხ. ქვემოთ). ნებისმიერ შემთხვევაში, ამ დებულებამ შესაძლოა ექვემდებარებოდეს დააყენოს წინა დებულება, რომელიც „სხვა პირების“ მიერ აუდიო ჩანაწერის განხორციელების უფლებას უკავშირებს სასამართლოს მიერ ნებართვის გაცემას. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, პრაქტიკაში რთული იყოს პროცესის ჩანაწერის გაკეთების აკრძალვა, ექვემდებარება პროცესის ჩაწერის კანონით წახალისების მიზანშეწონილობა. ნებისმიერ შემთხვევაში, „თავისი ადგილიდან“ ჩანაწერის გაკეთების შესაძლებლობა“ – რომელიც გულისხმობს სასამართლო დარბაზის ნებისმიერი ადგილიდან ამის გაკეთებას – კონფიდენციალური საუბრების ჩაწერის აღკვეთის თემას წამოჭრის; ასეთი შეიძლება იყოს მაგალითად, მოწმეთა ან მხარეთა შორის გამართული საუბრები. ამიტომ, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა იმის გათვალისწინება, რომ სასამართლო დარბაზში არსებული ყველა ჩამწერი საშუალება ერთ, ამისთვის სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას განთავსდეს.

▪ ტრანსლირების უფლების განხორციელების პირობები

24. ვიდეო ჩანაწერების გაკეთების უფლების განხორციელების პირობების რეგულაცია საკმაოდ შეზღუდულია.

25. ცვლილებები ითვალისწინებს შემდეგს:

- სასამართლოს შეუძლია პროცესის მთლიანი ან ნაწილობრივი დახურვა მოითხოვოს (მე-13 მუხლის პირველი პუნქტი);

- სასამართლო პროცესში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის შემთხვევაში, ფოტოგადაღება ან სხვა სახის ჩანაწერების გაკეთება უნდა მიმდინარეობდეს ნაფიც მსაჯულთა გამოსახვის გარეშე, ასევე, მათი იდენტობის, გამოსახულებისა ან სხვა პირადი ინფორმაციის გასაჯაროების გარეშე (მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი);

- ფოტოგადაღება, ჩანაწერების გაკეთება თუ ტრანსლირება უნდა იყოს დაშვებული პირის ადგილსამყოფელიდან ან სასამართლოს მიერ წინასწარ განსაზღვრული ადგილიდან (მე-13 მუხლის მე-5 პუნქტი);

- მოსამართლე უფლებამოსილია გამოიყენოს „სისხლის და სამოქალაქო სამართლის კოდექსებით გათვალისწინებული ზომები“ იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობა ხელს უშლის „მართლმსაჯულების განხორციელების ნორმალურ პროცესს“.

26. მოსამართლის უფლებამოსილება შემოიფარგლება სასამართლო პროცესის მთლიანი ან ნაწილობრივი დახურვით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლი ნამდვილად განსაზღვრავს საზოგადოებისთვის სასამართლო პროცესის მთლიანი თუ ნაწილობრივი დახურვის დეტალურ საფუძვლებს. მიუხედავად ამისა, არც აღნიშნული დებულება და არც ცვლილებები არ ადგენს პირობებს, რომლებიც მოსამართლეს შეუძლია დააწესოს იმ პროცესის აუდიო თუ ვიდეო ჩანაწერების განხორციელებასთან მიმართებით, რომელიც ღიაა საზოგადოებისათვის. მაგალითად, შესაძლებელია არსებობდეს ვითარება, როდესაც უფრო მიზანშეწონილი შეიძლება იყოს პროცესის დაგვიანებით ტრანსლირება, ვიდრე მისი სრული აკრძალვა. ასეთ ფაქტს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მაგალითად მაშინ, როდესაც წინასასამართლო გასაჯაროებამ, შეიძლება ზიანი მიაყენოს სამართლიანი სასამართლოს პრინციპებს. მსგავსი პრობლემა შეიძლება წარმოიქმნას მაშინ, როდესაც სასურველია მოწმემ ისე მისცეს ჩვენება, რომ სხვა მოწმეებმა არ იცოდნენ ამ ჩვენების შინაარსი. ამის უზრუნველყოფა როგორც წესი ხდება სხვა მოწმეების სასამართლო დარბაზიდან გაშვებით იმ დროს, როდესაც ხდება ჩვენების მიცემა. თუმცა, ეს ღონისძიება ბუნებრივია არაეფექტური იქნებოდა იმ შემთხვევებში, როდესაც სასამართლო პროცესის ტრანსლაცია განხორციელდებოდა მანამდე, სანამ დარბაზიდან გაშვებული მოწმე მისცემდა ჩვენებას.

27. სასამართლოში პირთა დაცვა ნაფიცი მსაჯულებით შემოიფარგლება. რჩება შთაბეჭდილება, რომ ფოტოგრაფი ან მაუწყებელი თავისუფალნი არიან, გადაიღონ ან გააშუქონ ყველაფერი ამ შეზღუდვის ფარგლებში. თუმცა არასასურველი იქნებოდა, ფოტოგრაფს ან მაუწყებელს უფლება ჰქონოდათ, გადაეღოთ მაგალითად, მოწმის, მსხვერპლისა თუ პროცესზე დამსწრე საზოგადოების ჩვეულებრივი წევრის რეაქცია ამა თუ იმ მოვლენაზე.

28. უფრო მეტიც, ფოტოგრაფისა თუ მაუწყებლისთვის დაწესებული შეზღუდვა, იმყოფებოდეს ერთ კონკრეტულ ადგილას და იქიდან განახორციელოს გადაღებები, არ ზღუდავს მსგავსი გამოსახულებების გაკეთების საშუალებას. ასევე, მაუწყებელთა სავარაუდო დიდი რაოდენობა, მხოლოდ ართულებს სასამართლოს ამოცანას იმ პირთა პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დაცვის კუთხით, რომლებიც სასამართლოს დარბაზში იმყოფებიან.

- ჩანაწერთა წარდგენის ვალდებულება

29. კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, „მოთხოვნის საფუძველზე“ მიაწოდოს აუდიო/ვიდეო ჩანაწერები მხარეებს და „სხვა პირებს“, თუ სასამართლოს მიერ სხდომა არ იყო მთლიანად ან ნაწილობრივ დახურულად გამოცხადებული. გაურკვეველია, ვინ არიან ეს „სხვა პირები“ და ვის უნდა გადაეცეს მოცემული მასალები. საეჭვოა, რომ მსგავსი ვალდებულება შეესაბამებოდეს პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას. ეს ვალდებულება უნდა ვრცელდებოდეს მხოლოდ იმ პირებთან მიმართებით, რომელთაც ლეგიტიმური ინტერესი გააჩნიათ მსგავსი ჩანაწერების მოპოვების კუთხით.

30. საზოგადოებრივი მაუწყებელი: საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს ჩანაწერების გადაცემა მედიის სხვა წარმომადგენლებისათვის მათი მოთხოვნის საფუძველზე (მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი). იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არ გამოიყენა თავისი უფლება გაეკეთებინა სასამართლო პროცესის ჩანაწერი, მედიის სხვა წარმომადგენლებისათვის ჩანაწერების გადაცემის ვალდებულება ეკისრება იმ მაუწყებელს, რომელსაც გააჩნდა უფლება, გაეკეთებინა ასეთი ჩანაწერები.

- მონაცემთა შენახვა

31. ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც არ არის განსაზღვრული კანონპროექტით, არის ჩანაწერების შენახვისა და შესაძლო განკარგვის საკითხი. დასაშვებია თუ არა, ჩანაწერები შენახულ იქნეს დროის განუსაზღვრელი პერიოდით? აქვს თუ არა პირს უფლება, ნებისმიერ დროს მოითხოვოს ჩანაწერები? აქვს თუ არა მაუწყებელს უფლება, ნებისმიერი მიზნისთვის გამოიყენოს ჩანაწერები ან დაამუშავოს ისინი?

32. ეს საკითხები არ რეგულირდება კანონით. აუდიო და ვიდეო ჩანაწერებთან დაკავშირებული გარკვეული რეგულაციები შესაძლოა, სხვა ტექსტებში იყოს გათვალისწინებული. ნებისმიერ შემთხვევაში, ვენეციის კომისიას სურს, ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, რომ ეს საკითხები არ უნდა იყოს მთლიანად თვით-რეგულირების საგანი.

33. დასკვნის სახით, ვენეციის კომისიას, უპირველეს ყოვლისა, სურს გაიხსენოს მინისტრთა კომიტეტის მიერ წევრი სახელმწიფოებისათვის შემუშავებული რეკომენდაცია Rec(2003)13 სისხლის სამართლის პროცესების შესახებ მედია საშუალებების გამოყენებით ინფორმაციის გავრცელების თაობაზე, კერძოდ რეკომენდაციის მე-14 პრინციპი, რომელიც ადგენს შემდეგს: „სასამართლო დარბაზში მედიის მიერ სასამართლო პროცესის ჩაწერა ან პირდაპირი გადაცემა

დაუშვებელია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს პირდაპირ არის განსაზღვრული კანონით ან ნებადართულია სასამართლო ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ. მსგავსი ჩანაწერების გაკეთება დასაშვებია უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მსხვერპლს, მოწმეს, სისხლის სამართლებრივი პროცესის მხარეებს, ნაფიც მსაჯულებსა თუ მოსამართლეებს გაუმართლებელი ზეგავლენის ქვეშ აღმოჩენის სერიოზულ რისკი არ ექმნებათ.“

34. ვენეციის კომისია თვლის, რომ მართალია კანონში ცვლილებების შეტანის განზრახვა მისასაღმებელი პროცესია, თუმცა ცვლილებები, რომლებიც არეგულირებს სასამართლო პროცესების გაშუქებას მედიის მიერ, უფრო ზუსტი უნდა იყოს. ეჭვქვეშ დგება ამ ცვლილებების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი კრიტერიუმის - „კანონის ხარისხის“ – დაკმაყოფილება. ამ უკანასკნელის მიხედვით, კანონი უნდა იყოს „ხელმისაწვდომი და საშუალებას უნდა აძლევდეს პირს დამაჯერებლობის გონივრული ხარისხით განსაზღვროს თავისი ქმედებების შედეგები და ის გარემოებები და პირობები, რომელთა არსებობისას ხელისუფლებას შეუძლია გარკვეული ნაბიჯები გადადგას“.

35. უაღრესად მნიშვნელოვანია, თავიდან იქნეს აცილებული პირადი ცხოვრების უფლებაში იმგვარი ჩარევის შესაძლებლობა, რაც ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლთან წინააღმდეგობაში მოვა.

### **III. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტება**

36. მოქმედი იუსტიციის უმაღლესი საბჭო (შემდგომში „საბჭო“) შედგება 15 წევრისაგან. ესენი არიან: უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, სასამართლო ხელისუფლების რვა სხვა წარმომადგენელი, პარლამენტის მიერ არჩეული ოთხი წევრი (რომლებიც შეიცვალენ ბოლო საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, „საერთო სასამართლოების შესახებ კანონის“ 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად) და პრეზიდენტის მიერ დანიშნული ორი წევრი.

37. კონსტიტუციის 86-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საბჭოს შემადგენლობის სასამართლო კომპონენტი არჩეულ უნდა იქნეს მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს, ანუ მოსამართლეთა კონფერენციის, მიერ. თუმცა ორგანული კანონის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს კანდიდატთა წარდგენას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას აქვს კანდიდატთა წარდგენის ექსკლუზიური უფლებამოსილება. გარდა ამისა, მოსამართლეთა კონფერენციას გააჩნია ადმინისტრაციული კომიტეტი, რომელსაც შეუძლია უფლებამოსილების განხორციელება კონფერენციის სხდომებს შორის შუალედში. ორგანული კანონის 65-ე მუხლის ბ) ქვეპუნქტის თანახმად, ეს უფლებამოსილება მოიცავს უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევას. კონსტიტუციის 86-ე მუხლის პირველი პუნქტის კონტექსტში ამ დებულების კონსტიტუციურობა საეჭვოა. დელეგაციამ შეიტყო, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რამდენიმე მოქმედი წევრი ნამდვილად იქნა „არჩეული“ ადმინისტრაციული



კომიტეტისა და არა მოსამართლეთა კონფერენციის მიერ. თუმცა ეს დანიშვნები სადავო არ გამხდარა სასამართლოში.

38. ცვლილებების დიდი ნაწილი პროგრესულია საბჭოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან ემსახურება მოქმედ კანონმდებლობაში არსებული რამდენიმე ნაკლოვანების გამოსწორებას.

39. ამდენად

- 8 მოსამართლე არჩეული იქნება მოსამართლეთა კონფერენციის მიერ, თავად მოსამართლეთა წარდგინებით (ახალი 47-ე მუხლის მე-4 პუნქტი);

- პარლამენტი აირჩევს საბჭოს 6 წევრს „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოღვაწე სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებისაგან, იურიდიული პროფილის მქონე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ან/და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისგან, იმავე ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების რეკომენდაციების საფუძველზე“ (ახალი 47-ე მუხლის მე-5 პუნქტი);

- ცვლილებებს შემოაქვს საბჭოს წევრთა ფარული კენჭისყრით არჩევის ვალდებულება (ახალი 64-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

ეს მნიშვნელოვანი ცვლილებები მისასალმებელია.

40. რაც შეეხება პრეზიდენტის მიერ საბჭოს რამდენიმე წევრის დანიშვნის უფლებამოსილების გაუქმებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ზოგადად პოზიტიური ნაბიჯია, აღნიშნული დებულება წინააღმდეგობაში მოვა კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის ე) ქვეპუნქტთან, რომელიც ძალაში შევა 2013 წლის ოქტომბრიდან და რომელიც ითვალისწინებს დანიშვნას პრეზიდენტის მიერ (თუმცა ახალი კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი აღარ იქნება აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი).

41. მიუხედავად ამისა, რჩება გარკვეული საკამათო დებულებები.

სასამართლოებისა და პალატების თავმჯდომარეების არჩევის აკრძალვა

42. 47-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული პირი არ შეიძლება იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე ან ნებისმიერი პირი, რომელიც რომელიმე აღნიშნულ თანამდებობაზე იმყოფებოდა უკანაკნელი 1 წლის განმავლობაში.“

43. ვიზიტის დროს ვენეციის კომისიის დელეგაციამ მიიღო ინფორმაცია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის სასამართლო კომპონენტის უდიდესი ნაწილი სასამართლოების ან მათი პალატების თავმჯდომარეები არიან (გარდა ამისა, დელეგაციას აცნობეს, რომ ზოგიერთი მათგანი არჩეულ იქნა ადმინისტრაციული კომიტეტისა და არა მოსამართლეთა კონფერენციის მიერ).

44. ადვილად გასაგებია იმის უზრუნველყოფის სურვილი, რომ უმაღლესი საბჭო არ წარმოადგენდეს მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების ხელმძღვანელობას. თუმცა თუ საბჭო წარმოადგენს მთლიანად სასამართლო ხელისუფლებას, მაშინ პრინციპში არასწორი იქნება ჩამოერთვას სასამართლო სისტემის რომელიმე წევრს შესაძლებლობა, იყოს არჩეული.

45. ასევე იყო საუბარი იმაზე, რომ პირისათვის ერთდროულად სასამართლოს ხელმძღვანელ თანამდებობაზე ყოფნისა და უმაღლესი საბჭოს წევრობის (რომელსაც მნიშვნელოვანი უფლებამოსილებანი გააჩნია) შესაძლებლობის მიცემა შესაბამისი პირის ან პირების ხელში ძალიან დიდი ძალაუფლების კონცენტრირებას იწვევს. თუმცა კომისიამ მიიღო ინფორმაცია, რომ ყველა თავმჯდომარე არ ახორციელებს ადმინისტრაციულ ფუნქციებს (მაგ. კოლეგიის თავმჯდომარეები). ეს არგუმენტები შესაძლებელია ეხებოდეს მხოლოდ იმ თავმჯდომარეებს, რომლებიც ახორციელებენ ადმინისტრაციულ ფუნქციებს.

46. შემდეგ არგუმენტად დასახელდა ის, რომ სასამართლოს თავმჯდომარისათვის საბჭოში ყოფნის უფლებას შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში, წარმოეშვა ინტერესთა კონფლიქტი.

47. ვენეციის კომისია თვლის, რომ ამ არგუმენტების გათვალისწინება უნდა მოხდეს თავად ამრჩევ პირთა მიერ როდესაც ისინი წყვეტენ, უნდა იქნეს თუ არა მათი კოლეგა აღჭურვილი იმ უფლებამოსილებით, რომელსაც საბჭოს წევრობის მანდატი ითვალისწინებს. უფრო მეტიც, ზემოხსენებულმა არგუმენტებმა გარკვეულწილად დაკარგა მნიშვნელოვანი წონა ახლა, როდესაც საბჭოს წევრთა არჩევნები ფარული კენჭისყრით ჩატარდება.

48. იუსტიციის საბჭოების შექმნის ლოგიკა გულისხმობს იმას, რომ მაქსიმალურად მცირე რაოდენობის შეზღუდვები დაწესდეს მოსამართლეთა უფლებაზე, აირჩიონ თავიანთ კოლეგებს შორის მათთვის სასურველი პირები, რომლებიც მათ წარმოადგენენ საბჭოში.

49. კომისიისათვის გასაგებია ვიზიტის დროს გამართული შეხვედრებისას პროცესის ძირითად მონაწილეთა მიერ გამოხატული წუხილები. თუ საქართველოს ხელისუფლება თვლის, რომ ეს წუხილები იმპერატიულია, შესაძლებელია კანონით დაწესდეს საბჭოში ასარჩევ თავმჯდომარეთა მაქსიმალური რაოდენობა.

50. ალტერნატივის სახით, ცვლილებებში შესაძლებელია იმის გათვალისწინება, რომ სასამართლოს თავმჯდომარის საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში, მან უნდა დატოვოს თავმჯდომარის თანამდებობა, თუმცა, რა თქმა უნდა, ის ინარჩუნებს მოსამართლის თანამდებობას.

წევრთა არჩევა პარლამენტის მიერ

51. ახალი 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით საქართველოს იუსტიციის საბჭოში ირჩევს 6 წევრს“.

52. ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ საბჭოს შემადგენლობის საპარლამენტო კომპონენტი არჩეულ უნდა იქნეს კვალიფიციური უმრავლესობით – ხმათა ორი მესამედით, სავარაუდო კრიზისების თავიდან აცილების მექანიზმის გათვალისწინებით, ან რაიმე პროპორციული მეთოდით, რომელიც უზრუნველყოფს ოპოზიციის გავლენას საბჭოს დაკომპლექტებაზე.

53. საქართველოს ხელისუფლების გადასაწყვეტია, რომელი გამოსავალია მისთვის მისაღები, თუმცა კრიზისის საწინააღმდეგო მექანიზმი არ უნდა იქცეს

დამაბრკოლებელ გარემოებად, უპირველეს ყოვლისა, კვალიფიციური უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების მიზნით შეთანხმების მიღწევისათვის.<sup>[2]</sup> 54. აღნიშნული რეკომენდაცია ეხება ყველა შემთხვევას, როდესაც კანონი გადაწყვეტილების ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით მიღებას ითვალისწინებს.

#### მოსამართლეთა დანიშვნისათვის საჭირო უმრავლესობა

55. ახალი 50-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, დისციპლინური საკითხებისა და მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებები მიიღებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, თუ მათ მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. საბჭოს დაკომპლექტების ახალი წესის გათვალისწინებით, ამგვარი გადაწყვეტილებების მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მხარს უჭერს საბჭოს სულ ცოტა ერთი არა-მოსამართლე წევრი.

56. ეს წესი თავისთავად პოზიტიურია. თუმცა ხმების აღნიშნული უმრავლესობის შეგროვება ადვილი არ არის. შესაბამისად რეკომენდებულია გადაიხედოს, ხომ არ გამოიწვევს ეს დებულება კრიზისული სიტუაციების წარმოქმნას და შემოტანილ იქნეს კრიზისის საწინააღმდეგო მექანიზმი.

#### იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი

57. მოქმედი კანონის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით, სამი წლის ვადით.

58. ახალი 51-ე მუხლი ითვალისწინებს უმაღლესი საბჭოს მდივნის არჩევას 4 წლის ვადით საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ, საბჭოს მოსამართლე წევრებისაგან.

59. ვის მიერ უნდა იქნეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი არჩეული, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციისა თუ თავად საბჭოს მიერ – ეს ის საკითხია, რომელიც შესაძლებელია, დაექვემდებაროს გადახედვას.

#### მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

60. მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული 9 წევრისაგან შედგება.

61. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულ კომიტეტს კონფერენციის სხდომებს შორის შუალედში გააჩნია საკმაოდ დიდი უფლებამოსილება, რომლის შედარებაც შესაძლებელია თავად მოსამართლეთა კონფერენციის უფლებამოსილებასთან. ეს კომპეტენცია მოიცავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნისა და საბჭოს სხვა წევრების არჩევისა და თანამდებობიდან გათავისუფლების უფლებამოსილებას. 64-ე მუხლის ცვლილებებით, მოსამართლეთა ადმინისტრაციულ კომიტეტს აღარ ექნება უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილებები მოსამართლეთა კონფერენციის კომპეტენციაში შემაჯავალ საკითხებზე. ეს ცვლილება მისასალმებელია.

62. კანონპროექტი ინარჩუნებს ადმინისტრაციული კომიტეტის უფლებამოსილებას „... მიიღოს გადაწყვეტილებები და შეიმუშავოს აქტები საერთო სასამართლოების ადმინისტრაციულ საკითხებზე და აქტები დასამტკიცებლად წარუდგინოს მოსამართლეთა კონფერენციას...“ (64-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ერთი მხრივ, არ არის

ნათელი, რა იგულისხმება „საერთო სასამართლოების ადმინისტრაციულ საკითხებში“, მეორე მხრივ, მოსამართლეთა კონფერენციის უფლებამოსილება მიიღოს „აქტები საერთო სასამართლოების ადმინისტრაციულ საკითხებზე“ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონით ან ცვლილებებით.

63. ნებისმიერ შემთხვევაში, სადავოა, უნდა მიენიჭოს თუ არა ეს უფლებამოსილება მოსამართლეთა კონფერენციას. სასამართლოთა ორგანიზაცია და მათი საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს პარლამენტის მიერ მიღებული კანონების და არა მოსამართლეთა კონფერენციის ან მსგავსი ორგანოების მიერ მიღებული აქტების საფუძველზე.

64. უფრო მეტიც, არ არის ნათელი, რა გადაწყვეტილებები იგულისხმება იმავე მუხლში ნახსენებ „გადაწყვეტილებებში“. თუ ტექსტი გაგებულ უნდა იყოს იმგვარად, რომ ადმინისტრაციულ კომიტეტს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები საერთო სასამართლოების ადმინისტრაციულ საკითხებზე, მაშინ ეს უფლებამოსილება ადმინისტრაციულ კომიტეტს არ უნდა ჰქონდეს იმ მიზეზების გამო, რომლებიც ზემოთ არის მოცემული.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ წევრების არჩევის წესები

65. ახალი 65-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების<sup>[3]</sup> მიზანია მოაწესრიგოს სიტუაციები, როდესაც ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარისა და წევრების, მდივნისა და უმაღლესი საბჭოს სხვა წევრების, სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრების არჩევნების დროს, ხმების საჭირო რაოდენობას (დამსწრე წევრთა ხმების ორ მესამედს) იღებს უფრო მეტი ან ნაკლები კანდიდატი, ვიდრე ასარჩევ წევრთა რაოდენობაა.

66. 65-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები წარმოადგენს კრიზისის აცილების მცდელობას, ითვალისწინებს რა შემდეგ ნორმას: თუ ორმა კანდიდატმა მიიღო ხმების თანაბარი რაოდენობა, კენჭისყრა უნდა ჩატარდეს ხელახლა და არჩეულად ჩაითვლება საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, მიღებულ ხმათა რაოდენობა არ უნდა იყოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის  $\frac{1}{4}$  -ზე ნაკლები. თუმცა საეჭვოა, არის თუ არა მიზანშეწონილი ასეთი მაღალი ბარიერის დაწესება პირველი ტურისათვის, თუ მეორე ტურში ბარიერი ორი მესამედიდან ერთ მეოთხედამდე ჩამოდის. ამ დებულებას შეუძლია ხელი შეუშალოს იმ კომპრომისული გამოსავლის ძიების მცდელობებს, რომლებიც მაღალი ბარიერის მიღწევას გახდიდნენ შესაძლებელს.

**IV. გარდამავალი დებულებები** – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედი შემადგენლობისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა

67. ცვლილებების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კანონის ამოქმედებისთანავე “იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს, გარდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა, უწყდებათ უფლებამოსილება.”

68. საქართველოში ვიზიტის დროს ვენეციის კომისიის დელეგაციას აღნიშნული ცვლილების მხარდამჭერებმა განუმარტეს, რომ სურთ ამ ღონისძიების განხორციელება ვინაიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედი შემადგენლობა

ხარვეზიანად მიაჩნიათ და თვლიან, რომ მხოლოდ სრულად განახლებული შემადგენლობის მეშვეობით იქნება შესაძლებელი მართლმსაჯულების სისტემაში მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელება.

69. კომისია აღნიშნავს, რომ იუსტიციის საბჭოების მნიშვნელოვანი ფუნქციაა მოსამართლეების დაცვა პოლიტიკური ზეგავლენისაგან. სწორედ აღნიშნული ფუნქციიდან გამომდინარე, არამართებული იქნებოდა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ იუსტიციის საბჭოს შემადგენლობის სრული განახლების დაშვება.

70. ორგანული კანონით განსაზღვრულია უფლებამოსილების ოთხწლიანი ვადა. არ ჩანს, რომ აღნიშნული ვადა კონსტიტუციითა არის განმტკიცებული. როგორც მოქმედი კანონი, ისე ცვლილებების პროექტი განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვალს. არცერთი მათგანი არ შეიცავს ნორმებს, რომლებიც პირდაპირ განსაზღვრავენ ან რომელთა განმარტებაც შესაძლებელია იმგვარად, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა უფლებამოსილება წყდება მათი თანამდებობაზე გამწესების პროცედურის შეცვლის შემთხვევაში.

71. ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ სასამართლო სისტემის სამომავლო ორგანიზაციის წესისა და საქმიანობის საკითხების შემუშავებისათვის საკანონმდებლო უფლებამოსილების გამოყენებისას, პარლამენტმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი ზომების მიღებისგან, რომლებიც საფრთხეს შეუქმნის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის უწყვეტობას.

72. საბჭოს ყველა წევრის ვადამდელი გათავისუფლება შექმნის პრეცედენტს, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ ახალ მთავრობასა თუ ახალ პარლამენტს, რომელიც მხარს არ უჭერს საბჭოს შემადგენლობასა თუ წევრებს, შეეძლება მისი ვადამდელი დათხოვნა და ახალი საბჭოთი ჩანაცვლება.<sup>[4]</sup> უმეტეს შემთხვევაში ამგვარი ცვლილება, განსაკუთრებით როდესაც ის განხორციელებულია მოკლე ვადებში, გამოიწვევს ეჭვს, რომ მის მიღმა იმალება მიმდინარე საქმეებზე გადაწყვეტილების მიღებისას საბჭოზე ზემოქმედების განზრახვა. მართალია კომისიას შეატყობინეს, რომ საბჭოში ამჟამად არ არის მიმდინარე საქმე, თუმცა ნებისმიერი ამგვარი ცვლილება დამაფიქრებელია.

73. როგორც ვენეციის კომისიამ უკვე განაცხადა, “კანონის უზენაესობასთან შესაბამისობა არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ კანონის პირდაპირი და ფორმალური დებულებებისა და კონსტიტუციის იმპლემენტაციით. ის ასევე მოიცავს კონსტიტუციურ ქცევასა და პრაქტიკას, რაც ხელს უწყობს ყველა საკონსტიტუციო ორგანოს ფორმალურ წესებთან შესაბამისობაში ყოფნას და მათ შორის ურთიერთპატივისცემის განვითარებას.”<sup>[5]</sup>

74. კომისია ინფორმირებულია იმ დილემის შესახებ, რომლის წინაშეც საქართველოს ხელისუფლება დგას. მიუხედავად ამისა, მაშინაც კი, როდესაც მოქმედი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა არადაამაკმაყოფილებლად შეიძლება მიიჩნეოდეს, ვენეციის კომისია იძლევა რეკომენდაციას, რომ საბჭოს წევრებმა დაასრულონ უფლებამოსილების ვადა. თუმცა შესაძლებელია გარდამავალი ზომების მიღება, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა მოქმედი საბჭოს დაახლოება დაკომპლექტების მომავალ მეთოდთან, მაგალითად სასამართლოების მოქმედი

თავმჯდომარეების მიერ, იუსტიციის საბჭოს შემადგენლობაში დარჩენის მიზნით, თავმჯდომარის თანამდებობის დატოვება. ასევე შესაძლებელია განისაზღვროს პროცედურა იმისათვის, რომ გამოსწორდეს ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ მოსამართლეთა კონფერენციის ნაცვლად განხორციელებული დანიშვნები, ეს შესაძლებელია მოხდეს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ ამ დანიშვნების დამტკიცებაზე თანხმობის გაცხადების გზით.

#### V. დასკვნა

75. საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონში ცვლილებებით უმჯობესდება ორგანული კანონის ბევრი დებულება და კანონი უახლოვდება ევროპულ სტანდარტებს.

76. რაც შეეხება სასამართლო პროცესების გაშუქების საკითხს, რამდენიმე დებულება საჭიროებს უფრო მეტად დაზუსტებას. მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ უფრო ფართო უფლებამოსილება, ვიდრე სასამართლო სხდომის სრული ან ნაწილობრივი დახურვაა. მიზანშეწონილია გადაიხედოს იმ პირთა სია, რომლებსაც სასამართლო სხდომის დარბაზში ჩაწერის განხორციელებისა და ფოტოების გადაღების უფლება აქვთ. გარდა ამისა, უნდა დაზუსტდეს „სხვა პირებისათვის“, მათი მოთხოვნის საფუძველზე, ჩანაწერების გადაცემის ვალდებულება იმგვარად, რომ გათვალისწინებული იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება. დაბოლოს, უნდა დარეგულირდეს ინფორმაციის შენახვასთან დაკავშირებული საკითხები.

77. რაც შეეხება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ძირითადი გაუმჯობესებები შემდეგია:

- საქართველოს პრეზიდენტი აღარ დანიშნავს საბჭოს წევრებს;
- 8 მოსამართლე აირჩევა მოსამართლეთა კონფერენციის მიერ თავად მოსამართლეების მიერ წარდგენილი კანდიდატებისაგან ( ახალი 47-ე მუხლის მე-4 პუნქტი);
- პარლამენტი საბჭოს 6 წევრს აირჩევს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან (ახალი 47-ე მუხლის მე-5 პუნქტი); ეს პირები არ იქნებიან პოლიტიკოსები როგორც ამჟამად, არამედ ისინი არჩეულნი იქნებიან ისეთი ორგანიზაციების მიერ დასახელებული კანდიდატებისგან, როგორცაა ადვოკატთა ასოციაცია, უმაღლესი სასწავლებლების სამართლის ფაკულტეტები და იურიდიული პროფილის მქონე არასამეწარმეო, არაკომერციული ორგანიზაციების წარმომადგენლები.
- ცვლილებები ითვალისწინებს საბჭოს წევრთა არჩევნებს ფარული კენჭისყრით (ახალი 64-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

78. მიუხედავად ამისა, ვენეციის კომისია იძლევა შემდეგ რეკომენდაციებს:

- სასამართლოების თავმჯდომარეებს, მათ პირველი მოადგილეებს, მოადგილეებს, კოლეგიებისა და პალატების თავმჯდომარეებს და ნებისმიერ პირებს, რომლებსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა არჩევნებამდე უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ეკავათ რომელიმე აღნიშნული თანამდებობა, უნდა ჰქონდეთ კანდიდატობის უფლება; შესაძლებელია, კანონით გათვალისწინებულ იქნეს საბჭოს

წევრი თავმჯდომარეების მაქსიმალური რაოდენობა; ცვლილებებით შესაძლებელია ასევე, ალტერნატიული ან კუმულატიური ზომების სახით, განისაზღვროს წესი, რომლის თანახმადაც სასამართლოს თავმჯდომარე, იუსტიციის საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში, უნდა გადადგეს თავმჯდომარეობიდან;

- საპარლამენტო კომპონენტის მიერ საბჭოს წევრები არჩეულ უნდა იქნენ ხმების ორი მესამედით (ანტი-კრიზისული მექანიზმით) ან რომელიმე პროპორციული მეთოდით;

- უნდა გადაიხედოს ის დებულებები, რომლებითაც ადმინისტრაციულ კომიტეტს ენიჭება “საერთო სასამართლოებთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისა და აქტების შემუშავების, ასევე მათი მოსამართლეთა კონფერენციისათვის წარდგენის უფლებამოსილება...” (მუხლი 64.2);

- გახილულ უნდა იქნეს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ წევრთა არჩევისათვის დადგენილი ბარიერის ისეთი დებულებებით შეცვლა, რომლებიც უფრო მეტად წახალისებს მოლაპარაკებებს;

- უნდა წაიშალოს ცვლილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც ახალი კანონის ამოქმედებისთანავე „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს, გარდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა, უწყდებათ უფლებამოსილება.“

- შესაძლებელია განხილულ იქნეს სხვა გარდამავალი დებულებების მიღება, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილი იქნება მოქმედი საბჭოს დაახლოება დაკომპლექტების მომავალ მეთოდთან, მაგალითად სასამართლოების მოქმედი თავმჯდომარეების მიერ თავმჯდომარეობის დატოვება იმისათვის, რომ გააგრძელონ საბჭოს წევრობა. შესაძლოა, ასევე გათვალისწინებულ იქნეს პროცედურა იმისათვის, რომ გამოსწორდეს ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ მოსამართლეთა კონფერენციის ნაცვლად განხორციელებული დანიშვნები, ეს შესაძლებელია მოხდეს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ ამ დანიშვნების დამტკიცებაზე თანხმობის გაცხადების გზით.

79. ვენეციის კომისია მზადყოფნას გამოთქვამს, მომავალშიც გააგრძელოს საქართველოს ხელისუფლებასთან თანამშრომლობა.

[1] იხილეთ, მაგალითად, *Sciacca v. Italy*, Application no. 50774/99, 11 January 2005; *Khuzhin v. Russia* Application no 13470/02, 23 October 2008; *Gurgenidze v. Georgia*, Application no. 71678/01, 17 October 2006; *Von Hannover v. Germany*, Application no. 59320/00, 24 June 2004.

[2] დასკვნა კონსტიტუციის იმ დებულებების ცვლილებების შესახებ, რომლებიც მონტენეგროს სასამართლო სისტემას ეხება (CDL-AD(2012)024), პარაგრაფი 35).

[3] კომისია მიიჩნევს, რომ 65.3 და 65.4 მუხლებში მითითება იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე თარგმანის შეცდომაა. თუ ეს ასე არ არის, ტექსტი უნდა გადაიხედოს, რადგან ნათელია, რომ ეს პუნქტები უნდა არეგულირებდეს გადაწყვეტილების

მიღების პროცესს მოსამართლეთა კონფერენციის და არა უსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ.

[4] იხილეთ დასკვნა ბულგარეთის სასამართლო ხელისუფლების შესახებ კანონის ცვლილებებისა და დამატებების პროექტზე CDL-AD(2009)011, მე-14 პარაგრაფი; დასკვნა ბულგარეთის სასამართლო სისტემის რეფორმის შესახებ საკონსტიტუციო ცვლილებებზე (CDL-AD(2003)016), 25-ე პარაგრაფი; დასკვნა ბულგარეთის სასამართლო სისტემის აქტის ცვლილებებზე (CDL-AD(2002)015; დასკვნა ბულგარეთის სასამართლო სისტემის რეფორმის შესახებ (CDL-INF(1999)005).

[5] დასკვნა რუმინეთის მთავრობისა და პარლამენტის მიერ სხვა სახელმწიფო ორგანოებთან მიმართებით განხორციელებული ღონისძიებების შესაბამისობაზე კონსტიტუციის პრინციპებთან და მთავრობის საგანგებო დადგენილებაზე N47/1992 იმ კანონის შეცვლასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობასა და ორგანიზაციას და მთავრობის საგანგებო დადგენილებაზე N3/2000, რომელიც ეხება რუმინეთში რეფერენდუმის ორგანიზებას. ეს დასკვნა მიღებულ იქნა ვენეციის კომისიის 93-ე პლენარულ სხდომაზე (2012 წლის 14-15 დეკემბერს, ვენეციაში), 72-ე პარაგრაფი.